



# შირაკი

**SHIRAKI**

www.opentext.ge

გამოცემის 1937 წლიდან

№13 (9.578)

13-20 აპრილი 2013 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

## „აპრილის სეკუნდა“



იმ დღეს, ისევე, როგორც სხვა რაიონებში, ჩვენს ქალაქშიც მზიანი, მაგრამ გაზაფხულის სევდიანი დღე იყო, გაზაფხულს სევდა არ უხდება, მაგრამ ალბათ მიხვდით, 9 აპრილი დამდგარიყო, უკვე ოცდამეოთხეჯერ, არა უბრალოდ ხსოვნის და გახსენების კი არა, არამედ ძლიერი ტკივილის და სიხარულის ერთდროულად შეგრძნების დღე. ტყუილად არ აქვს ქართველ ხალხს განცდა იმისა, რომ 9 აპრილმა საქართველოს ხალხი ერთ მუშტად შეკრა, ამ 9 აპრილზეც ასე მოხდა, წელს გამოჩენულად მიაგეს პატივი 9 აპრილს დაღუპილ მამულიშვილებს. დედოფლისწყაროელი პოზიციონერები თუ ოპოზიციონერები, ყველა ერთად გაემართა დედოფლისწყაროს გამგეობის შენობიდან და 9 აპრილის მემორიალს ფეხით სვლით მიეახლა, ღონისძიებას ესწრებოდნენ მუნიცი-

პალიტეტის გამგებელი ირაკლი შიოლაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ნატროშვილი და სხვა ხელმძღვანელი პირები. აქ იყვნენ ტერიტორიული ერთეულების წმინდნეულები. 9 აპრილის მემორიალთან დეკანოზმა ნიკოლოზმა დაღუპული ადამიანების ხსოვნის საპატივსაცემოდ პარაკლისი გადაიხადა. მეუფე მელქისედეკმა კი, იქადაგა. ეკლესიის მგალობელთა გუნდის მიერ შესრულდა საგალობლები. შემდეგ დგება წუთიერი დუმილის დრო მაგრამ ამ დუმილში 24 წლის წინ განცდილ ტკივილს და ემოციებს ყველა თავის გულში იხსენებს და იმ მძიმე განცდებს ერთმანეთში უხმოდ ვკითხულობთ.

ვინ აღარ იყო იმ დღეს 9 აპრილის მემორიალთან მოსული, დაინთო უთვალავი სანთელი და მემორიალი შეიმკო ყვავილებით. კულტურის სახლთან არ-

სებულმა ქართული ხალხური სიმღერის ვაჟთა გუნდმა „ხორნაბუჯმა“ შეგვასენა ილიას სიტყვები და შეასრულა სიმღერა „ჩემო კარგო ქვეყანავ.“ უხმოდ მივიყვანე ჩემი 5 წლის შვილი მემორიალთან, რომლის აღქმაც ჯერ კიდევ უჭირს, მაგრამ მაინც მიიტანა თავისი ხელით დაკრეფილი ახლად აყვავებული ნივთი ტიტები, მივიყვანე, რათა აქედანვე ისწავლოს საქართველოს უახლესი წარსულის სისხლიანი ისტორია და ბავშვობიდან შეისისხლოს ცოცხალი, თუ როგორ ვიცით ერთმანეთის ტკივილის გაზიარება ქართველებმა. იმ დღეს ტელევიზიებით რამდენჯერმე გამეორდა და ფეისბუქის გვერდები გაივსო კლიპით „ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები“, მაგრამ ეს უკვე გლოვის შემდგომი ეტაპის სიმღერად შეიძლება ჩაითვალოს, 9 აპრილის უშუალო ემოციად მაინც ლაღო ასათიანის „დაუკა-

რით“ ითვლება.

ყველას გვახსოვს, უკანასკნელ წუთამდე როგორი თავგანწირვით ისმოდა: „დაუკარით, ჯერ ხომ სისხლი გვიდღეს ძარღვში, ჯერ ხომ საროს ფოთლები არ დასცვენია“.

იმ ღამეს 21 ფოთოლი მაინც ჩამოსცვივდა საროს, მაგრამ იმ თუნდაც თექვსმეტმა გააკეთა ის, რაც ვერ მოიტანა საუკუნეებმა, - თავისუფლება!... და სწორედ ამიტომ 9 აპრილი ტკივილად და სიხარულად იქცა ყველა ქართველისთვის. ასეთი თავგანწირვა მხოლოდ ქართველებმა ვიცით, სიმღერით სიკვდილი, მხოლოდ ქართველი დედები უშვებენ შვილებს ქუჩაში იმისთვის, რომ მტერს დაუმტკიცონ,

თუ რაოდენ სწყურიათ მათ თავისუფლების აღიარება! სამწუხაროდ, თავისუფლების აღიარება მოხდა, უკვე მათ გარეშე, ამ ტრაგედიიდან ორი წლის შემდეგ 1991 წლის 9 აპრილს ხელი მოეწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ინიციატივით.

უნდა აღინიშნოს, რომ მას შემდეგ, უახლოესი 22 წლიანი დამოუკიდებლობის ისტორიაში, წელს პირველად მოხდა, რომ დააფასეს ის პარლამენტარები, ვინც, მაშინ ამ ესოდენ მნიშვნელოვან აქტს მოაწერა ხელი. პარლამენტის ამჟამინდელმა თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა 9 აპრილს ყველა მათგანი საპატიო სტუმრის სტატუსით მიიწვია პარლამენტში და შეხვედრა მოუწყო მათ!

ლალი მხერიშვილი

### პრობლემა

## ვის მიუძღვის ბრალი, სოციაგენტს, თუ არასწორად მართულ სისტემას?!

მე მას და მისი ცხოვრების პრობლემებს ძალიან კარგად ვიცნობ, ამჟამად 83 წლის პენსიონერია, მაგრამ თავისი ცხოვრების 50 წელზე მეტი პროფესიულ საქმიანობას შეაღია, ჰქონდა რთული და გაჭირვებული ბავშვობა, მერე იყო სწავლის და სამსახურებრივი მოღვაწეობის პერიოდი, სოფელ ოზანის აფთიაქრობაში გალია წლები, ოჯახი არ შეუქმნია და დარჩა მარტოხელა, სულ მთლად მარტო. წლების წინ მასზე საგაზეთო წერილი დავწერე და ზუსტად ვიცი,

როგორ ცხოვრობს, მთელი მისი სიმდიდრე ღარიბული სახლის ორი პატარა ოთახია, ეზო სახლზე უფრო მცირე ზომისაა, ირგვლივ ყველაფერს სიძველის იერი ამჩნევია. წლებია, გაცილებით უკან წავიდა მისი პრობლემა, რადგან სამსახურიც მიატოვა და მხოლოდ პენსიის ანაბარა დარჩა. ჩემი საუბარი სოფელ ოზანში მცხოვრებ ფარმაცევტ რუსუდან ჯორჯოშვილს შეეხება. ძალიან თავმოყვარე ქალია, ალბათ მართლა ძალიან გაუჭირდა, რომ სიამაყე დაძლია და

თავისი გასაჭირით რედაქციამდე მოვიდა, თორემ ისე, ქალბატონი რუსუდანი არავის შეაწუხებდა.

- „დახმარებას ვიღებდი, ამჯერად აგენტმა კიდევ შემამონმა, როცა მოვიდა ეზოში ვიყავი, რა ნახა იქ, არ ვიცი, ან რა სახლკარი მაქვს, რაზე დარჩა თვალი ნეტავ, ორი ქათამი მყავს ეზოში და ერთი ჰექტარი ნაკვეთი მაქვს, რომელსაც ვერ ვამუშავებ, ესაა სულ ჩემი ავლა-დიდება, თუ რა სიღარიბეში ვცხოვრობ, მთელმა სოფელმა იცის,

როგორ მოხდა, რომ 67 000 ლარი მომივიდა, მაშინ როცა წინა წელს 45 000 ლარი მქონდა, არანაირი ცვლილება და არანაირი წინსვლა მაშინდელ და ახლანდელ ჩემს ეკონომიკურ ცხოვრებაში არ მომხდარა. რატომ მოვიდა ასეთი სხვაობით ქულები, ან რა კრიტერიუმებით სარგებლობენ, არ მესმის. სოციალურ სააგენტოში რომ ვიყავი, ასე მითხრეს, ქალბატონო, ქულები უკვე დათვლილია და ახლა აღარაფერი გეშველებაო, ერთი წლის (გაგრძელება გვ-2)

**სოფლად, გლეხების დასახმარებლად**

**გვ. 3**

**ელეონორა მამათა მონასტრამდე ბეგონის გზა დაიკება**

**გვ. 2**

**ტკივილიანი სიყვარული**

**გვ. 5**

**ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლანების შესახებ!**

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტანდარი - ყველაფერი
- მხოლოდ ჩვეთათნ!

ის, რასაც სხვაგან ვერ ნაიპოთხავთ!

[www.dedoplistskaro.ge](http://www.dedoplistskaro.ge)

# კახეთში სეტყვის საწინააღმდეგო აპარატურას შემოიტანენ

საქართველოს მთავრობა სეტყვის საწინააღმდეგო აპარატურის შემოტანაზე მუშაობას იწყებს. პრემიერ — მინისტრის ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, გლეხების მოსავალი დაზღვეული უნდა იყოს რისკებისაგან, რის გამოც აუცილებელია სეტყვის საწინააღმდეგო, ადამიანის ჯანმრთელობისა და ბუნებისთვის უვნებელი სისტემების დამონტაჟება.

„საბჭოთა პერიოდის ხელისუფლება სეტყვის საწინააღმდეგო საშუალებებს აქტიურად იყენებდა და შესაბამისად, სოფლის მეურნეობისთვის მიყენებულ ზარალს ამ დღემდე ამცირებდა. სპეციალისტები და გლეხები რამდენიმე წელია, მთავრობისგან დახმარებისა და სეტყვადამცავი სისტემების გამოყენებას ითხოვენ, მაგრამ ეს საკითხი მთავრობისთვის აქტიუალური არასოდროს გამხდარა“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა.

როგორც გარემოს დაცვის სამინისტროს ჰიდრომეტეოროლოგიის სამსახურის უფროსმა რამაზ ჭითანავამ განაცხადა, სეტყვის საწინააღმდეგოდ თანამედროვე ტექნოლოგიები გამოიყენება.

„დღეს უკვე არის თანამედროვე ტექნოლოგიები, მაგალითად, საფრანგეთსა და არგენტინაში ეს სისტემა საკმაოდ გამართულია. მათი გამოყენება ეკოლოგიასა და კლიმატს საფრთხეს არ უქმნის, თუმცა თანამედროვე ტექნოლოგიები ძალიან ძვირია. ამიტომ, საჭიროა, სპეციალისტების დახმარებით გათვლების გაკეთება და მათი შერჩევა. შეგვიძლია, მოვიწვიოთ მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის სპეციალისტები და მათთან ერთად ვიმუშაოთ აღნიშნულ საკითხზე“, — აღნიშნავს რამაზ ჭითანავა.

შეგახსენებთ, 2 დღის წინ მოსულმა ძლიერმა სეტყვამ თელავის რაიონი სერიოზულად დააზარალა. ყველაზე მეტად სოფლები რუისპირი და იყალთო დაზარალდა. სეტყვამ ვაზს და ხეხილს კვირტი მთლიანად გააყალბა.

# სასკოლო სახელმძღვანელოები უფასო იქნება

2013-2014 სასწავლო წლიდან სასკოლო სახელმძღვანელოები უფასო იქნება, — ამის შესახებ განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, ამ გადაწყვეტილებით სახელმწიფო საკუთარ კონსტიტუციურ ვალდებულებას ასრულებს.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, უფასო სახელმძღვანელოები მშობლებს თანხის დაზოგვის და სხვა მიმართულებით გამოყენების საშუალებას მისცემს. „კონსტიტუციის თანახმად, სა-

შუალო სკოლაში სწავლა არის უფასო. ჩვენ თავს ვალდებულად ვთვლით, 650 ათასი მოსწავლის მშობელს ბოლო თეთრის გატანა არ უზღუდოდეს ოჯახიდან სახელმძღვანელოს შესაძენად. ამ თემაზე 5 თვე ვიმუშავეთ, ბევრი ვარიანტი განვიხილეთ და ყველას ვულოცავ, რომ საჯარო სკოლებში სახელმძღვანელოები უფასო იქნება“, — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

მინისტრის განმარტებით, ყველაფერი კანონის ფარგლებში ხორციელდება და გამომცემლები სამინისტროსგან კანონით განსაზღვრულ თანხას მიიღებენ.



# ელიას მონასტრამდე ბატონის გზა დაიგეგმა

**დედოფლისწყაროს სასაფლაოსა და ელიას მთაზე მდებარე წმ ელია თეზბიტელის მამათა მონასტრამდე მისასვლელი გზის მოწესრიგება უახლოეს დღეებში უნდა დაიწყოს. როგორც დედოფლისწყაროს გამგეობის ხელმძღვანელი, გიორგი „შირაქი“ განუცხადეს, ამ სამუშაოებისთვის მიმდინარე წელს 300 000 ლარია გათვალისწინებული.**

დედოფლისწყაროს გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის სოლომონ ღორაშვილის განმარტებით, საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიიდან სასაფლაომდე ასფალტსაფარიანი გზა დაიგეგმა, ხოლო სასაფლაოდან ელიას ტაძრამდე კი მთლიანად მაღალი ხარისხის ბეტონის საფარი დაიგეგმა.

„ვინაიდან ამ მონაკვეთზე საკმაოდ რთული რელიეფია, ამდენად გადაწყდა, სასაფლაოდან უკვე გაცილებით მაღალხარისხიანი გზა დავაგოთ, რომ მალევე არ დაზიანდეს. უახლოეს დღეებში გამოცხადდება ტენდერი და გაირკვევა, რომელი კომპანია დაიწყებს სამუშაოებს. ამ ეტაპზე ტენდერის ჩატარებაზე ვმუშაობთ. გზის მშენებლობა წელსვე უნდა დასრულდეს“, — განუცხადა განუცხადეს „შირაქს“ სოლომონ ღორაშვილმა.

ელია თეზბიტელის მამათა მონასტრის მოძღვარი, ილუმენი ონოფრე წულაძე ჩვენთან საუბრისას ამ გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს მიესალმება და ამბობს, რომ მრევლს ნირვანზე დასასწრებლად გადაადგილება გაუადვილებს.

სახლეობა ამბობს, რომ ელიას ტაძრამდე მისვლა კარგ ამინდებშიც ჭირს, უამინდობის დროს კი ვითარება ძალზე რთულდება. უგზობობა მრევლს განსაკუთრებით ზამთარში აფერხებს. ადგილობრივები მიიჩნევენ, რომ გზის ამ მონაკვეთის რეაბილიტაციის დაწყება მოსახლეობისთვის ძალზე მნიშვნელოვანია.

დედოფლისწყაროში გზების რეაბილიტაციის საკითხი, მათ შორის ელიას მთამდე მისასვლელი გზის პროექტი გამგეობის თათბირზეც განიხილეს. ითქვა, რომ ამგვარი პროექტებისთვის დედოფლისწყარო მიმდინარე წელს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2,5 მილიონ ლარს მიიღებს. თანხა ძირითადად გზების რეაბილიტაციას და წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესებას მოხმარდება. თუმცა, განუცხადეს „შირაქი“ უკვე იუნყებოდა, რომ ამ პროექტების გარდა, მიმდინარე წელს დედოფლისწყაროში გზების რეაბილიტაციის მეგაპროექტიც ხორციელდება, რაზეც 10 მილიონზე მეტი ლარი უნდა დაიხარჯოს.

სასაფლაოდან ელიას ტაძრამდე მთლიანად მაღალი ხარისხის ბეტონის საფარი დაიგეგმა. ელია თეზბიტელის მამათა მონასტრის მოძღვარი, ილუმენი ონოფრე წულაძე ჩვენთან საუბრისას ამ გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს მიესალმება და ამბობს, რომ მრევლს ნირვანზე დასასწრებლად გადაადგილება გაუადვილებს.



ელია მარტყოფილი

# ვის მიუძღვის ბრალი, — სოცაბენტს, თუ არასწორად მართულ სისტემას?!

**(პირველი გვერდიდან)** მერე მოდით და მხოლოდ მაშინ გაქვთ ახლიდან განაცხადის დაწერის უფლება! მაშ საპარტალი აღარ არის? ერთი წლის მერე ხომ ან ვიქნები ცოცხალი ან არა! ხალხს ორსართულიანი სახლებიც აქვთ, მანქანებიც და საკმაოდ ძლიერი შესაძლებლობაც გააჩნიათ, პრომისუნარიანებიც არიან და ფრინველიც ბევრი ჰყავთ, მათ ნაკლები ქულები მოსდით და მე უნდა მომსვლოდა ისეთი ქულათა ოდენობა, რომ დახმარება შემეწყვეტოდა?! ასე როგორ შეიძლება, რა საზომით ზომავენ ერთხელ და სამუდამოდ იქნებ გავგარკვეოთ! როგორ შეიძლება რომ, შეცდომის გამოსწორების შესაძლებლობა ერთ წლამდე არ არსებობს და ადამიანს უფლება არ აქვს იდაოს?! — ამბობს ქალბატონი რუსუდანი.

სამსუხაროა, მაგრამ ამგვარ შემთხვევებს ჩვენს რეალობაში ძალიან ბევრს ვხვდებით. რამდენიმე ხნის წინ რეაქციას დედოფლისწყაროში მცხოვრებმა თინა არაბულმაც მომართა, მასაც ანალოგიური მდგომარეობა აქვს. მის სახლკარს და უზო-ყურეს რომ შევავლოთ თვალი, მიხვდებით, თუ რა სიღარიბეა მის ოჯახში, ფაქტურად სიღატაკე, რომლის კომენტარებისგან ახლა თავს ვიკავებ, მართალია, მისი ქულები ამ ეტაპზე დათვლილი არაა, მაგრამ

ისიც დიდად არ იმედოვნებს, რომ დახმარებისთვის სათანადო ქულები მოუყვა. — „ჩვენ უპატრონო ოჯახი ვართ და უპატრონობის დახმარების კუთხით ჩავგრავენ! ერთი შვილი მყავს, მაგრამ უმუშევარია. მისი იმედი არ მაქვს, სვამს და სმისაგან ახლა ღვიძლი აქვს გადიდებული. საავადმყოფოშია თბილისში, ნათესავები პატრონობენ. არაფერი არ გამაჩნია სახლში ეზოს ნაკვეთისა და ერთი ძროხის მეტი, ორი დედალი მყავდა, ორივე დაეკალი და თბილისში გადავტანე ავადმყოფ შვილთან, მისი ექიმ-ნამდლობისთვის სამი თვის პენსიაც წინასწარ გამოვიტანე, ძალიან დიდ გაჭირვებაში ვარ, ვფიქრობ, ძროხის გამო შეიძლება არ მომცენ დახმარება, მაგრამ ერთი ძროხა რაა, მისით აშენებული ვინ გინახავთ?! მასაც ხომ არ გაეყიდა, ეგაა ჩემი მარჩენალი, იქნებ ვკვდები და რაში დამჭირდეს! ვიცი, ძროხებიც ჰყავთ და შვილებს მანქანებიც აქვთ, მაგრამ დახმარებას ნამდვილად იღებენ! მე კი წლებია, დახმარება მომიხსენეს!“ — ამბობს თინა არაბული.

გულწრფელად გითხრათ, ორივე შემთხვევაში ამ ამბით თავადაც გაოცებული და ვინაა, რადგან ორივე შემთხვევაში კარგად გავეცანი და ამ ადამიანების სახლებს რომ შეხვდეთ, წესით და რიგით ისინი დახმარებას ნამდვილად უნდა იღებდნენ! თუმცა,

როცა უკვე შედეგს ქულათა ოდენობის სახით ვიღებთ, საშველი აღარსაით არსებობს! ორივე ადამიანის შემთხვევაში იმ აგენტს რა ვუთხარი, ვინც მათ სახლებში შევიდა და რაიმე ისეთზე დარჩა თვალი რომ მათმა სოციალური საზომის ქულებმა მაღლა აიწია?! ალბათ სუბიექტურობაში არავინ ჩამომართმევს, მაგრამ პირადად მე, ამ საკითხის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ვარ, ვფიქრობ, ძროხის გამო შეიძლება არ მომცენ დახმარება, მაგრამ ერთი ძროხა რაა, მისით აშენებული ვინ გინახავთ?! მასაც ხომ არ გაეყიდა, ეგაა ჩემი მარჩენალი, იქნებ ვკვდები და რაში დამჭირდეს! ვიცი, ძროხებიც ჰყავთ და შვილებს მანქანებიც აქვთ, მაგრამ დახმარებას ნამდვილად იღებენ! მე კი წლებია, დახმარება მომიხსენეს!“ — ამბობს თინა არაბული.

როცა უკვე შედეგს ქულათა ოდენობის სახით ვიღებთ, საშველი აღარსაით არსებობს! ორივე ადამიანის შემთხვევაში იმ აგენტს რა ვუთხარი, ვინც მათ სახლებში შევიდა და რაიმე ისეთზე დარჩა თვალი რომ მათმა სოციალური საზომის ქულებმა მაღლა აიწია?! ალბათ სუბიექტურობაში არავინ ჩამომართმევს, მაგრამ პირადად მე, ამ საკითხის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ვარ, ვფიქრობ, ძროხის გამო შეიძლება არ მომცენ დახმარება, მაგრამ ერთი ძროხა რაა, მისით აშენებული ვინ გინახავთ?! მასაც ხომ არ გაეყიდა, ეგაა ჩემი მარჩენალი, იქნებ ვკვდები და რაში დამჭირდეს! ვიცი, ძროხებიც ჰყავთ და შვილებს მანქანებიც აქვთ, მაგრამ დახმარებას ნამდვილად იღებენ! მე კი წლებია, დახმარება მომიხსენეს!“ — ამბობს თინა არაბული.

გულიანად ვიხარებ, რომ თინა არაბული და თინა არაბული ორივე შემთხვევაში იმ აგენტს რა ვუთხარი, ვინც მათ სახლებში შევიდა და რაიმე ისეთზე დარჩა თვალი რომ მათმა სოციალური საზომის ქულებმა მაღლა აიწია?! ალბათ სუბიექტურობაში არავინ ჩამომართმევს, მაგრამ პირადად მე, ამ საკითხის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ვარ, ვფიქრობ, ძროხის გამო შეიძლება არ მომცენ დახმარება, მაგრამ ერთი ძროხა რაა, მისით აშენებული ვინ გინახავთ?! მასაც ხომ არ გაეყიდა, ეგაა ჩემი მარჩენალი, იქნებ ვკვდები და რაში დამჭირდეს! ვიცი, ძროხებიც ჰყავთ და შვილებს მანქანებიც აქვთ, მაგრამ დახმარებას ნამდვილად იღებენ! მე კი წლებია, დახმარება მომიხსენეს!“ — ამბობს თინა არაბული.

ველი ორი ქათმის სახით, არ ხმარობს თითქმის არცერთ ახლობლებზე იყენებს და გამგეობის აპარატზეც ახლობელი ჰყავდათ, ყოველთვიურად 120 ლარამდე სოციალური დახმარებას იღებდნენ და ეს იმ დროს, როდესაც ოთხნეკრიანი ოჯახი, თავისი მცირეწლოვნებით ძალიან კარგი მაცხოვრებლები იყვნენ და შრომისუნარიანნიც გახლდნენ. ასეთ ფაქტებს და დარღვევებს ამჯერად მაინც ბოლო უნდა მოეღოს და შეწყდეს ამგვარი უსამართლობები.“ — ამბობს მოქალაქე ნათია სიხარულიძე.

ალბინოსთან დაკავშირებით სოციალური საგენტოს დედოფლისწყაროს უფროსს ზურაბ ზურაბაშვილს ვესაუბრეთ. ბატონმა ზურაბმა ორივე მოქალაქის მონაცემებში გულდასმით ჩაიხედა და აღმოაჩინა, რომ თინა არაბული ქულები სოციალურ სააგენტოს ვერ დათვლილი არ აქვს, თუმცა გაგზავნილია მონაცემები და უახლოეს დღეებში ცნობილი იქნება მისი ქულათა ოდენობა. რაც შეეხება სოფელ ოზანში მცხოვრებ რუსუდანი ჯორჯოშვილის მონაცემებს იგი მონაცემების მიხედვით აგენტს ღარიბად ჰყავს შეფასებული, თუმცა, რომ გამოიწვიოთ მისი ქულა 61 ათასამდე ანუ, ამაზე პასუხის გაცემა მასაც გაუჭირდება. — „მონაცემებიდან ვიგებთ, რომ ქალბატონ რუსუდანს ჰყავს შინაური ფრინ-

ველი ორი ქათმის სახით, არ ხმარობს თითქმის არცერთ ახლობლებზე იყენებს და გამგეობის აპარატზეც ახლობელი ჰყავდათ, ყოველთვიურად 120 ლარამდე სოციალური დახმარებას იღებდნენ და ეს იმ დროს, როდესაც ოთხნეკრიანი ოჯახი, თავისი მცირეწლოვნებით ძალიან კარგი მაცხოვრებლები იყვნენ და შრომისუნარიანნიც გახლდნენ. ასეთ ფაქტებს და დარღვევებს ამჯერად მაინც ბოლო უნდა მოეღოს და შეწყდეს ამგვარი უსამართლობები.“ — ამბობს მოქალაქე ნათია სიხარულიძე.

ლალი მხრინიძე

# საპილოტე პროექტები გლეხების დასახმარებლად

## „ჩვენი მიზანია სოფლებს შესაძლებლობების გაძლიერებაში დავეხმაროთ“

არასამთავრობო ორგანიზაცია „კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი“ CENN-ი დედოფლისწყაროში პროექტის „ძლიერი სოფელი - მოქნილი მმართველობა“ ფარგლებში საპილოტე პროგრამებს ახორციელებს. დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამთაწყაროში მაცხოვრებლებმა ასოციაცია შექმნეს, რომელთაც 7 000 დოლარის ფარგლებში საკუთარ კარმიდამოში სხვადასხვა სახის მონყობილობების მონტაჟი დაუფინანსდა. სწორედ ამ აქტივობების პრეზენტაცია შედგა დედოფლისწყაროში, რის შემდეგაც პროექტის ფარგლებში მონყობილი მცირე საოჯახო მეურნეობების დემონსტრირება მოხდა. შეხვედრა ჯერ დედოფლისწყაროს გამგეობის სხდომათა დარბაზში ჩატარდა, შემდეგ კი მონაწილეები სოფელ სამთაწყაროში გაემგზავრნენ და ბენეფიციარ ოჯახებში მიღებული შედეგები ადგილზე დაათვალიერეს.

პროექტი ჰოლანდიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება. მის მიზანს წარმოადგენს საქართველოს

ობიექტებში თუ დავამონტაჟებთ, ვფიქრობ უკეთესი იქნება. შესაძლოა თანადაფინანსებაზეც იყოს საუბარი,” - აღნიშნა გამგებელმა.

სოფელ სამთაწყაროში ჯემალ ჯაიანისა და მრავალშვილიან ლევან გორგაძის ეზოებში სათბურის მოწყობა, სადაც ბოსტნეულს წელიწადში რამდენჯერმე მიიღებენ. ამას გარდა, დამონტაჟდა მზის ენერჯის გამათბობელი და ვენახებში წვეთოვანი რწყვის სისტემა. ადგილობრივი მკვიდრის ლაჟვარდ შაინიძის ოჯახში, სადაც ახალშობილის დაბადებას ელიან, გამათბობელის მონტაჟი რამდენიმე დღეა დასრულდა, სათბურები კი უკვე მერამდენე თვეა მოქმედებს. ჩვენი სტუმრობისას დღის 4:00 საათისთვის ჰელიო გამათბობელში წყლის სითბო 80 გრადუსს აღწევდა, სათბურებში კი სამთაწყაროებში კარტოფილის და ნიორის პირველი მოსავალი უკვე მიიღეს. სათბურის მფლობელები ამბობენ, რომ მისი მონყობა მხოლოდ 250 ლარი დაჯდა, მიუხედავად იმისა, რომ სპეციალური სასათბურე ცელოფანია შერჩეული და საკმაოდ გამძლეა.

სამთაწყაროში ზემოთ აღნიშნული საქმიანობების განსახორციელებლად შეიქმნა 10 ბენეფიციარი ფერმერი ადგილობრივ თემებთან და შესაბამის სპეციალისტებთან კონსულტაციის საფუძველზე.

პროექტი (სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, პროექტის ექსპერტი): „ნიადაგის არასწორად დამუშავებით, სისტემატორად ერთ სიღრმეზე ხვნი და ქარსაფარი ზოლების გაჩეხვით ცუდი შედეგები მივიღეთ. ჩვენი ძირითადი მიზანი არის, რომ კლიმატური პირობები ადამიანების საკეთილდღეოდ გამოვიყენოთ. ამ სათბურების გაკეთება დაჯდა მხოლოდ 250 ლარი. დედოფლისწყაროში რამდენიმე ადგილობრივ მოსახლეს შეუძინეთ სპეციალური ცელოფანი, მივეციტო სამოქმედო გეგმა, გავუწიეთ კვალიფიციური კონსულტაცია. 9 აპრილისთვის პირველი მოსავალი უკვე აიღეს. შედეგად მივიღეთ ის, რომ არატრადიციულ დროს, აქ მცხოვრებ ოჯახებს გაუჩნდათ როგორც მოსავალი, ისე ფინანსური შემოსავალი. ისინი ეკონომიკურ ეფექტს ხედავენ და ეს პატარა საქმე არ გახლავთ. თუ თავდაპირველად გლეხი 50 კვადრატულ მეტრზე წარმატებას შეძლებს, სამომავლოდ ის 50 ჰექტარი მიწის დამუშავებასაც მოახერხებს და ეს ერთგვარი სტიმული იქნება. ამას გარდა, ამავე სოფელში ვაკეთებთ ჰელიო გამათბობლებს, წყლის ჰელიო გამაცხელებლებს, რათა წყლის გასაცხელებლად არ იქნეს დახარჯული შუბა და ენერჯია, რაც გარემოს ზიანს მიაყენებდა. ვცდილობთ ასეთი ენერჯია მინიმალურად დაიხარჯოს. ფაქტი სახეზე გვაქვს და ვნახეთ, რომ წყლის ჰელიო გამათბობელმა რამდენიმე საათში 80 გრადუსზე გაცხელებული წყალი მოგვცა. გარდა ამისა, ვაკეთდა წვეთოვანი მორწყვის სისტემა, როგორც ღია გრუნტისთვის, ისე სათბურისთვის. ვნახეთ შედეგებიც... მოგვხსენებთ, დედოფლისწყაროში წყლის პრობლემა სერიოზულად დგას. ამდენად, წვეთოვანი რწყვის სისტემის გამოყენებით შევძლებთ 6 ჯერ ნაკლები სარწყავი წყლით უკეთესი შედეგი მივიღოთ. იცით, რომ ამ სოფლებში წყალმომარაგების პრობლემა მოგვარებული არ არის და ადგილობრივები წყალს ბიდონებით, საკმაოდ ძვირად ყიდულობენ. ამ ფონზე დაზოგო წყალი, უკვე ძალზე მნიშვნელოვანია და რა თქმა უნდა ეს კარგი შედეგია. დღეს აქ მოსული საზოგადოება კმაყოფილი ჩანდა. როცა ადამიანი თავად შეიგრძნობს ამ პროექტის სიკეთეს, როცა არატრადიციულ დროს მოიმიკის მოსავალს და ნახავს, რომ ყველაფერი მინიმალურ ფასად მოხერხდა, გამოიცივდება, დანარჩენმა თანასოფლელებმაც მათ არ მიბაძონ. ჩვენი მიზანი იყო ამ ყველაფრის დემონსტრირება მოგვეხდინა“.

ნინო თივაძე (პროექტის მენეჯერი): „შეხვედრის მიზანი იყო, რომ თავად იმ დოკუმენტის პრეზენტაცია მომხდარიყო, რომელიც სპეციალურად დედოფლისწყაროსთვის შემუშავდა. დოკუმენტი ასახავს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციას და უარყოფითი შედეგების პრევენციას. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სხვადასხვა ოჯახებთან სხვადასხვა მიმართულე-



**„რადგან დედოფლისწყაროში წყლის პრობლემა სერიოზულად დგას, წვეთოვანი რწყვით შეგვიძლია 6 ჯერ ნაკლები წყლით უკეთესი შედეგი მივიღოთ“**

რეგიონებში მოქნილი და მდგრადი თემების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, რომლებიც შეძლებენ გაუმკლავდნენ კლიმატის თანამედროვე და სამომავლო ცვლილებებს. პროექტის სამიზნე რეგიონებია: კახეთი (დედოფლისწყაროსა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტები) და აჭარა (ხელვაჩაურისა და ქედის მუნიციპალიტეტები).

სხდომას დედოფლისწყაროს გამგებელი ირაკლი შიოლაშვილი დაესწრო. გამგებელი მიიჩნევს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები მხოლოდ კვლევის შედეგების წარმოდგენით არ უნდა იფარგლებოდნენ და უმჯობესი იქნება, თუ ისინი დაფინანსების გამოყოფის მხრივ გაცილებით გააქტიურდებიან, თუნდაც ეს იყოს ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებით.

„ხომ არ ვიზიან, ვიფიქროთ იმაზე, რომ ამგვარი ჰელიო გამათბობლების დამონტაჟება მოხდეს ისეთ ადგილებში, რომელიც უფრო ფართო გამოყენების არის და ეს სიკეთე გაცილებით მეტ ოჯახს შეეხება. მაგალითად, საბავშვო ბაღებში, ან ამგვარ

„ჩვენს სოფელში გაზი არ არის, ამ დრომდე ძალიან ვწვავლობდით. ახლა კი, ეს გამათბობელი დავამონტაჟეთ და გამუდმებით გვაქვს ცხელი წყალი, მითუმეტეს, რომ არანაირი გადასახადს არ აღრიცხავს. ძალიან დიდი ბედნიერება ყოფილა, თხევად აირს ვყიდულობდით და ძალიან ძვირი გვიჯდებოდა. ეს პროექტი ძალიან დაგვიხმარა, რადგან სულ მალე ახალშობილი შეგვემატება და ცხელი წყალი ძალიან ნაკლებად გვინდა. გამათბობელს დიდი ინტერესი მოჰყვა სოფელში, ბევრი მოდის და ათვალიერებს,“ - განუცხადეს „შირაქს“ შაინიძეების ოჯახში.

ადგილობრივი მოსახლეობა ელის, რა შედეგებს მოიტანს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება და რამდენად ნაყოფიერი იქნება მისი პრაქტიკაში დანერგვა. ჩამოთვლილი ოჯახების გარდა, დამატებით ორ ოჯახში თანამედროვე აპარატურას უახლოეს დღეებში შეიტანენ. პროგრამა ა.ნ. მისისთვის ბოლოსთვის დასრულდება. მთლიანობაში პილოტური პროექტის ფარგლებში სოფელ



ბის სამუშაოები მიმდინარეობს. ეს პროგრამები მოსახლეობას აძლევს საშუალებას არსებულ და მოსალოდნელ კლიმატის ცვლილებებს შეეგუოს, მათთან ადაპტაცია მოახდინოს და არ გაუარესდეს მათი მოსავლიანობის მაჩვენებელი. მითუფრო, გლეხი იმაზე ადრე მიიღებს ცალკეულ მოსავალს, ვიდრე ისინი ბაზარზე გამოჩნდებიან. პროექტი ადგილობრივი თემების შესაძლებლობების გაძლიერებას ახდენს. ინტენსიურ თანამშრომლობას ვცდილობთ კახეთის ამ ორ მუნიციპალიტეტთან. მათი მოსაზრებების მისაღებად ეს გეგმა მუნიციპალიტეტის თვითმმართველობაში გვქონდა გაგზავნილი და მათგანაც მივიღეთ პოზიტიური პასუხი, რომ მათთვის მნიშვნელოვანია მათთვის ასეთი სამოქმედო გეგმის არსებობა. ჩვენ დავდეთ გარკვეული შედეგი და სამოქმედო გეგმა, რომელიც ძალზე მნიშვნელოვანია. ის მრავალი ექსპერტის ცოდნასა და გამოცდილებას ეყრდნობა და ზოგადი ფრანგებით არ შემოიფარგლება. კონკრეტულად არის განვირეო, რა უნდა გაკეთდეს კლიმატის ცვლილების ადაპ-

ტაციისთვის ამა თუ იმ სოფელში. ეს მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებს დაეხმარება გარკვეული გზამკვლევი იყოს მათთვის, რომ გაუდაბნობას და კლიმატის ცვლილებებს ებრძოლონ. ჩვენი, როგორც არასამთავრობო სექტორის როლი არის ის, რომ ვაჩვენოთ ახალი ტექნოლოგიები, რომლებიც არსებობს“.

უცხოელი დონორების დაფინანსებით დედოფლისწყაროს გარდა პროექტები საგარეჯოშიც ხორციელდება. შეხვედრის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ საზღვრისპირა სოფლებში, რომლებიც რაიონულ ცენტრს მკვეთრად მონყვეტილია, საკვები პროდუქტებისა და ბოსტნეულის შექმნა პრობლემას წარმოადგენს. ამ კუთხით ცალკეული პროექტების განხორციელებით კი მოსახლეობა საკვების ადგილზე წარმოებას გააუმჯობესებს და მოსავალს ნაადრევად მიიღებს. შედეგად კი მიგრაციის მაჩვენებელი შემცირდება. მოსახლეობის ადგილზე დამაგრება კი სასაზღვრო სოფლისთვის ორმაგ მნიშვნელობას იძენს.



დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საკონფერენციო დარბაზი სტუმრებით გაივსო, ზოგი მათგანი ფეხზე იდგა, ტევა არ იყო. აქ იყვნენ მისი ნიჭისა და შემოქმედების დამფასებელი და შემფასებელი ხელოვანები, მეგობრები, ახლობლები, ოჯახის წევრები. 10 აპრილია, ერთი ალალი, პატოსანი, საოცარი სულის მქონე ადამიანის **ნამოსხილი** დაბადების დღე, რომელიც უფალმა სილაპაზის მსახურებისა და ტრფობისთვის გააჩინა, კაცისა, რომელიც მოვიდა, ცხოვრობდა უხმოდ, მშვიდად მოსიარულეს სიყვარულით სავესე გული დაჰქონდა და სულიდან ნამოსული განცდების გადმოსაცემად წერდა და ხატავდა, უყვარდა და უყვარდათ. აკი თავადაც ამბობს:

„მე მხოლოდ მისთვის არ გაჩენილვარ, ტანთ ვიძოსო და სმა-ჭამა ვირგო, მე დემრთმა შემქმნა მხოლოდ იმისთვის, რომ შენ მიყვარდე ადამიანო!“

ტკივილიანი სიყვარულით იხსენებდნენ იმ დღეს ხვთისო ბიკაშვილს. ცრემლს ვერ იკავებდა კულტურისა და სპორტის ცენტრის სპეციალისტი ნონა ჯიბლაშვილი, რომელმაც გახსნა მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი გამოფენა: - „დღეს ამ დარბაზში უამრავ ადამიანს ვხედავ, რომლებსაც განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდათ ამ ადამიანთან. ხვთისოს გვერდით გატარებული დღეები ჩვენთვის ლამაზი წარსულია, ამიტომ ძლიერი განცდით ვართ სავსე. ქართველებს ერთი საოცარი სიტყვა გვაქვს-გარდაიცვალა, რომელიც, თურმე არც ერთ ენაზე არ ითარგმნება. დიახ, არ შეიძლება, ადამიანი ასეთ სიყვარულს ტოვებდეს მინაზე და მის წასვლას ამ ქვეყნიდან ერქვას სიკვდილი. ის გარდაიცვალა, მისი სული დღეს ამ დარბაზში ისევა სიხარულით სავსე, როგორც თითოეული ჩვენგანის. ქართველი კაცი წერდა ლექსს, არაა გასაკვირი, საკვირველი ისაა, ამ სტრიქონებით ყველა შენი საყვარელი ადამიანის მოფერება შეძლო და ყველა სტრიქონს თან სულის ტკივილი და სიტბო თანაბრად ჩაანწა; წერდა სამშობლოზე, ეტრფოდა ქალს, მიძღვნებს უკეთებდა შვილებს, შვილიშვილებს, ოჯახს, მეგობრებს. მისი ლექსები მისი ტკივილი და სიხარული იყო, გამორჩეული კრძალვით ესაუბრებოდა უფალს. აკი მისი სახელიც უფალთან იყო დაკავშირებული: **ხვთისავარი**-ნამდვილი ღვთის შვილი იყო და ალბათ ამიტომაც ცხოვრობდა ღვთის სათნოდ. ყველგან სიყვარულს დაეძებდა და ამ სიყვარულის სანაცვლოდ მადლს და სიკეთეს ვასცემდა. ხვთისო ბიკაშვილი მესხიერებას შემორჩა კაცად, რომელიც თითქმის ყველა მის ნაცნობს ძალიან ახლობლად მიაჩნდა. მას ამის განსაკუთრე-

ბული ნიჭი ჰქონდა, - თქვა ქალბატონმა ნონამ და ყველა იქ მყოფის განცდა და დამოკიდებულება გამოხატა ამ ადრე ნასული ადამიანის მიმართ.

ხვთისო ბიკაშვილის ცხოვრება და შემოქმედება მიმოიხილა ჯაფარიძის კულტურის სახლის სპეციალისტმა თამარ ლობჯანიძემ: - „ის დაიბადა 1948 წლის 10 აპრილს სოფელ მირზაანში, გლეხის ოჯახში. იზრდებოდა და-ძმასთან ერთად. განსაკუთრებული ნიჭით გამოირჩეულს განგებამ 6 წლის ასაკში კალამი და ყალამი ერთდროულად აალებინა. საშუალო განათლე-

ფერი თვალების საიდუმლო, მხატვარს მონატრებად ექცა თავის წარმოსახვაში კულტად ქცეული ქალი, რომელსაც მაინც ხატავდა, ოღონდ უფერულს.“

დოდო ლომიძე, რომელთანაც ნამსხვრევებად ექცა პირველი და დიდი სიყვარული, ყოფილ მეუღლეს ასე იხსენებს: - ხვთისო იყო უიშვიათესი პიროვნება, უბრალოდ, ყველაფერი ბედის ამბავია და ჩვენს შემთხვევაშიც ბედმა იწება ასე, რომ მის შუბლზე ბედისმწერალს მეორე დიდი სიყვარული უნდა გადაელოცა. ეს მოხდა თბილისში. იქაც ერთი ქალიშვილი და ერთი შვი-


კიდეც გამოფენებს სხვადასხვა ქალაქში. ქალაქ უფაში მან მოხატა ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია. ალბათ, სწორედ უფალზე ფიქრისას ანდა ხატვისას დაწერა მან თავისი ლექსი „უკანასკნელი დახასიათება“.

„ეს მივლინება ზოგს პატარა აქვს, ზოგს კი ხანგრძლივი, დე მე არ ვიცი, რამდენად დიდხანს მევალება ყოფნა ამ ქვეყნად, ისიც არ ვიცი, როგორი დახასიათებით დავბრუნდები უკან ღმერთთან, უკანასკნელ დახასიათებას როგორს დამინერს,



მოსულიშვილები, როგორც შემოქმედს და როგორც ქველმოქმედს ქედს უხრის ნანა ჭიჭინაძე, მის ლექსებს კითხვობენ ნინო პოპიაშვილი და პატარა ლიკა პოპიაშვილი, თვალზე მომდგარ ცრემლს ვერ იკავებენ მისი და ნელი, მისი მეზობლები მირზაანიდან, ხოლო სამადლობლო სიტყას მისი ქალიშვილი ინგა ბიკაშვილი ამბობს: „მამის გახსენებით მისი სული ილოცებს თქვენთვის, რადგან ყველა თქვენგანი ახლობელი იყო მისთვის. ის სიმბოლურად მიტყუების დღეს გარდაიცვალა, მის კრებულს კი „ჩემი ხატია სამშობლო“ ჰქვია. ამით ყველაფერია ნათქვამი. მ ა დ ლ ბ ა თ ი თ ო ე უ ლ თ ქ ე ე ნ გ ა ნ ს, მ ა დ ლ ო ბ ა მ უ ზ ე უ მ ი ს თ ა ნ ა მ შ რ ო მ ლ ე ბ ს, მ ი ს დ ი რ ე ქ ო რ ს ლ ა ლ ი გ უ რ ა ს პ ა უ ლ ს, რ ო მ ლ ე ბ მ ა ც, ჩ ე ვ ნ თ ა ნ ე რ თ ა დ, ო ჯ ა ხ ს ე ა გ რ ო ვ ე ს ეს ნ ა ხ ა ტ ე ბ ი, რ ო მ ლ ე ბ მ ა ც მ ა მ ა უ შ ო რ ე ლ ა დ ჩ უ ქ ი ნ დ ა ა ხ ლ ო ბ ლ ე ბ ს. მ ა დ ლ ო ბ ა კ უ ლ ტ უ რ ი ს ა და ს პ ო რ ტ ი ს ც ე ნ ტ რ ს, მ ი ს ხ ე ლ მ ი ძ ვ ა ნ ე ლ ს ნ ი ნ ო ბ ა ხ უ ტ ა შ ვ ი ლ ს თ ა ნ ა დ გ ო მ ი ს ა თ ე ვ ი ს. მ ა დ ლ ო ბ ა ყ ვ ე ლ ა ს, რ ო მ მ ო ბ რ ა ნ დ ი თ და გ ა ი ხ ი ა რ ე თ ჩ ე ვ ნ ი ტ კ ი ვ ი ლ ი ა ნ ი ს ი ხ ა რ უ ლ ი“.

## ტკივილიანი სიყვარული



ბა სოფელ მირზაანში მიიღო. ხატვის სიყვარულმა თიბის სახელობის სამხატვრო სკოლას აზიარა, მერე სამხატვრო აკადემიის კარიც შეაღებინა და, ცხოვრების უკუღმართობით რუსეთში გადახვეწილს, სულიკოვის სახელობის სამხატვრო სასწავლებელიც დაამთავრებინა. ლექსები მისი ბიოგრაფიის შერწყმა სულთან, ხოლო ნახატები, გამორჩეული ხელნერა შემოქმედისა, რომელიც მიზანმიმართულად იმინა დროდადრო გვანებიერებს ხოლმე ხელოვნების ტრფიალთ. ნამდვილი და წრფელი სიყვარული მონიფულ ასაკში ეწვია და ცისფერი თვალებით მოჯადოებულმა რჩეულს პორტრეტთან ერთად ლექსიც მიუძღვნა:

„შენს ცისფერ თვალებს ფუნჯით მოვსატყავი, ტილოზე გადავტყანდი ღამაში ფერგითა, შენს ღამაზე თვალებს სიციოცხლეს შევწირავდი, თუნდაც მოგმკვდარიყავ შენი ფერგითა!“

მაგრამ, რამდენად სამწუხაროც არ უნდა იყოს, ყველა შემოქმედის გზა გამორჩეულად ტკივილიანი და ხვთისოს შემთხვევაშიც ასე მოხდა. როცა ცისფერ თვალბოთთან ერთად შექმნილი ვარდისფერი ცხოვრება მაინც გაჩერდა და შემოქმედი ისევ მარტო დარჩა, წლებით ნაგროვები ფერები ჩაიხვია, ჩაიფერფლა და თან გაიყოლა ცის-

ლიშვილი ჰყავს. შვილებს - ინგას და მარიამს, შვილიშვილებს - თათიას და ნინოს კარგი ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან, ხვთისო მათ ერთანაირად ანებიერებდა თავისი სიყვარულით.

ხვთისოს ცხოვრებაში ხშირად ჩნდებოდა დეპრესიული მომენტები, მაგრამ შემოქმედის ნიჭი მაინც იფეთქებდა ხოლმე,

საით და რისთვის გამგზავნის შემდგომში, რა ცოდვები მექნება და მომეტელება თუ არა, ღმერთო მალალი, ეს მხოლოდ შენ უნცი, და მე მზად ვარ, პასუხი ვაგო ჩემი განვლილი ცხოვრების გამო. არ მეშინია უკან მოხედვის,



მაინც ამბობდა თავის სათქმელს. ლექსებში ვერჩატეული სულიერება ნახატებში ამოწურა. დედის სახება ჩადო თამარის უძლეველობაში, რომელსაც ლომის სახით ყველაზე ძლიერი მტერიც კი მოუთვინიერებია და გაუყუჩებია, კაბადოკიელი ქალწული კი არცერთი ფრესკის წმინდა ნინოს არ ჰგავს. ავტორისეული ხედვა დაღლილი და საქართველოს ბუნებით გაოგებული წმინდანი, რომლისთვისაც საქართველოს მზეს ნაკანრები მოუშუმებია, მარცხენა ხელით ჯვარი ალუმბრთავს, მარჯვენათი კი ეტრბატი, რითაც უფალს მარადიული რწმენა გამოუტანებია ღვთისმშობლის ნილხვედრი ქვეყნისთვის. საოცრებაა „ღამე ზღვაზე“, „იესო“ რომელსაც ხელთ უპყრია დედამინა, მის უკან კი ზოგი გამქრალი, ზოგიც გასაქრობად გამზადებული ვარსკვლავებია. იესო დედამინის ნუგეში და გადარჩენა, ხოლო დედამინა-იესოს რწმენაზე დაფუძნებული სამყარო.

არც რუსეთში შექმნილი ნახატებისათვის იშურებს ფერთა გამას, სადაც გარკვეული წლები გაატარა და ხშირად ანყობდა

უკან დარჩენილი სიმართლისა თუ შეცოდების, ვინ იყო ქვეყნად და არა სცოდა...“

იმედია, შეუნდო უფალმა ამ ფაქიზი სულის ადამიანს, რომელიც ყველა მის ნაცნობს ძალიან ახლობლად მიაჩნდა, მას ამის განსაკუთრებული ნიჭი ჰქონდა, შეძლო ერთნაირად თბილი და ახლო დამოკიდებულება ჰქონოდა ყველა ასაკის ადამიანთან. აკი ამიტომაც გაიხსენა იმ დღით ხვთისო ბიკაშვილი დღემათუ პატარამ, ნათესავმა თუ მეგობარმა. მრავლად იყვნენ დარბაზში №1 საჯარო სკოლის პედაგოგები, რომელთა გვერდითაც ათეული წლები გაატარახვთისომ, როგორც ხატვის მასწავლებელმა. ნელი გობეჯიშვილი მას იხსენებს, როგორც თანშემზრდილ მეგობარს და თანასოფელს, აკაკი მერაბიშვილი და დათო მაღალაშვილი იხსენებენ მას როგორც კოლეგას, საკუთარ ლექსს უძღვნიან თამაზ ნიკოლაური და ნინო ნიკოლაშვილი, საყვარელი პედაგოგის ხსოვნას ეფერება ნატო ყაჭაშვილი, როგორც ოჯახის ახლობელს და მეგობარს იხსენებენ მაია და დიმა

ნაირ ბორაშვილი

## სიყვარულის საგალობელი

(მეოთხე გვერდიდან)  
იზიარებენ ჩემი კოლეგები, დიდი მადლობელი ვარ მათი, ამბობს ქალბატონი ნათელა, რომელმაც 48 წელი გაატარა სკოლაში, გამოზარდა მრავალი თაობა, გაატანა მათ გულის სიბოძო, ასწავლა ურთერთსიყვარული და ურთერთგატანა. „ჩემო პირველო მასწავლებლო, ჩემო აღმზრდელო, ყოველთვის ტკბილო და თბილო, ამ გვიწყნარებდა თქვენი მოპყრობა – კაბას მაგისწორებდი, შარვალს გვიკრავდი, არც ბოლომს თაკილობდი და არც გაკიცხვას თქვენი პატარების სასიკეთოდ. მასხენდება

ვარდისფერ ნისლში გახვეული სვეტიცხოველი, ნანვინარი წინანდლის ბალი, სიყვარულის ხეივანი, ყრინაშული და ლხენა. ყველას გულის გასაღებს ეძებდი და არგებდი კიდეც. თქვენს თვალებს ბავშვობის სურნელი მოაქვს, წარუშლილის და საწუკარის. ნათელა მასწავლებლო, დარჩებით ჩემთვის წმინდა და საყვარელ პირველ აღმზრდელად. გკოცნით, გეფერებით! ვეცდები მთელი სიცოცხლის მანძილზე გამოვხატო სიბოძო და ყურადღება თქვენს მიმართ!“ - ასე მიმართა სკოლის დამთავრების საზეიმო გაცემებისას **ეტიკო ოზაშვილი**

მე. ეტიკო ერთადერთი არ არის, ისინი ბევრნი არიან, მათ ნათელა მასწავლებლის გულში მუდამ აქვთ თავისი ადგილი. ბავშვებსაც უყვარდათ იგი და მასაც უზომოდ უყვარდათ თავისი აღსაზრდელები. კარგი მასწავლებლის სახელი ჰქონდა, თუმცა, თვითონ მიაჩნია, რომ უნაკლო არ იყო, იღებდა შენიშვნებს, შესწორებებს და ითვალისწინებდა კიდევ. 69 წლის ასაკში შტატების შემცირების გამო დაემშვიდობა საყვარელ სკოლას, ბავშვებს, კოლეგებს. გული ძალიან დასწყდა. ჯერ კიდევ ენერგიით სავსეს, პედაგოგიური გა-

მოცდილებით დახუნძლულს ბევრი რამის გაკეთება შეეძლო, მაგრამ.. 70 წლისთავი კოლეგებმა სახლში მიულოცეს, მოეფერნენ, ბევრი საქებარი და თბილი სიტყვა უთხრეს. „დღეს შენს სიყვარულით გაუღწეოლ სახლში შეკრებილი ვიწინა, პატვისცემა, მადლობა და დიდი სიყვარული გამოვხატო შენი ადამიანობის, შენი საქმიანობის, შენი თავდაუზოგავი პედაგოგიური მოღვაწეობის მიმართ და კარგო დედავ, ბაბიავ, დედამთილო და სიდდრო, მამიდავ და დედავ, რძალო და მულო, მეზობელო და მეგობარო, მოგალოცოთ მოღვაწეობით 70 წლისთავი, გისურვოთ სიცოცხლე, სიმხნევე, ბედნიერება შენს შვილებთან, შვილიშვილებთან და მომავალთან“, - უთხრა მას კოლეგამ და თანასოფელმა

ლამარა მატიაშვილმა, რომელთანაც მთელი ცხოვრება აკავშირებდა ნათელა პოპიაშვილს, თუმცა, გურამის გარეშე ბედნიერებას და სიხარულს ის ფასი ალარა აქვს ქალბატონი ნათელასათვის, მაგრამ სიცოცხლე მაინც გრძელდება, ცხოვრება მადის... 15 აპრილი სიყვარულის დღეა. ქალბატონი ნათელა ასე შეაგონებს ახალგაზრდობას: „გიყვარდით გულწრფელად, იყავით ერთგულნი, ფულის ფერს და მანქანის მარკას კი ნუ დახარბობდით, ეძებთ თქვენი მთლიანის ნახევარი, ადამიანი კეთილი, ზრდილი, მშრომელი, პატიოსანი, მხოლოდ სიმდიდრე არ არის ბედნიერება, ბედნიერება სიყვარულია!“

ნაირ ბორაშვილი

# მულტიმინერალური და ანტიკელმინითური სალოკავი ბლოკები

„ლოკი-ბლოკი“ და „მარგებელი“ და-მზადებულია საქართველოში კალციუმის საკვებ-მწარმოებელ ნისქვილში რძის მწარმოებელთა ეროვნული ასოციაციის მიერ

ლოკი-ბლოკი ეს არის საკვები ნივთიერებებით გაჯერებული სალოკი ბლოკი. იგი ბევრად მეტია, ვიდრე მინერალური ბლოკი ან ქვა-მარილი. მასში უხვად არის პირუტყვის პროდუქტიულობისათვის აუცილებელი ცილების, მინერალების სრული სპექტრი და მაკრო და მიკროელემენტები.

თუ საქონელი ძოვს ახლად აბიბინებულ საძოვარზე, სადაც ბევრია ბალახოვანი და პარკოსანი მცენარე, მას არ სჭირდება სალოკი ბლოკი. ახალამოსულ ბალახში უხვად არის საკვები ნივთიერებები, მაგრამ ბალახის მოცულობა მცირეა. ხოლო როდესაც მისი მოცულობა იზრდება, ბალახის ხარისხი უარესდება, განსაკუთრებით ზაფხულში, როდესაც ნიადაგი სწრაფად შრება. შესაბამისად, საძოვრების გამოყენება არ არის ხანგრძლივი. იენისის დასაწყისშივე საქონელს შეუძლია დიდი სარგებელი მიიღოს მინერალებისა და ცილებისაგან, რომლისგანაც „ლოკი-ბლოკი“ შედგება.

### ლოკი-ბლოკის შემადგენლობაში შედის:

ცილები ორი სახის. ერთ-ერთი არის ფაშვის მიკრობების პროტეინი, ხოლო მეორეს ეწოდება „მონელუბადი პროტეინი“, რომელიც ფაშვის გავლით უცვლელად შეინარჩუნება საჭმლის მომნელებელი ტრაქტის მიერ. ეს პროტეინები უზრუნველყოფს რძისა და ხორცის წარმოებას.

ფოსფორი მნიშვნელოვანია ორგანიზმის სისტემის ბიოქიმიისათვის – კერძოდ, კუნთოვანი, სისხლის მოძრაობის, ნერვული, ჰორმონალური და მონელების სისტემებისათვის.

მელასა არის შაქრის წარმოების ნარჩენი და შედგება კონცენტრირებული მცენარეული წვენისაგან. იგი უზრუნველყოფს მიკროელემენტებს და გორდს.

კალციუმი მნიშვნელოვანია ძვლოვანი სტრუქტურის ჩამოყალიბებისა და უჯრედოვანი ქიმიური პროცესებისათ-

ვის. გოგირდი ზოგიერთი პროტეინი წარმოქმნილია გოგირდის ბაზაზე.

მარილი პირუტყვს უყვარს მარილი. მარილი უზრუნველყოფს ნატრიუმს, რომელიც საკვებ ნივთიერებას წარმოადგენს.

ბენტონიტი არის თიხა, რომელიც შეინარჩუნებს ტოქსინებს, მაგალითად მიკოტოქსინებს ობიდან. მას აქვს მასტიმულირებელი ეფექტი ფაშვის მიკრობებზე. პირუტყვის პროდუქტიულობა და მოკიდებულია საკვების ხარისხზე. როდესაც ცხოველი ძოვს გაუხეშებულ საძოვარზე, ფაშვის მიკროფლორა მნიშ-



ვნელოვნად კნინდება. სალოკი ბლოკი აღადგენს ფაშვის მიკროფლორას და პირუტყვს უმძაფრებს მადას იმ მინერალებისა და საკვები ნივთიერებების უზრუნველყოფით, რომელიც აღარ არის გაუხეშებულ საკვებში.

ცხოველთა უმეტესობა დაუყოვნებლივ იწყებს ბლოკის ლოკვას. ზოგიერთი მათგანი ცდილობს მის მოკბენას, ამიტომ აუცილებელია პირუტყვის მეთვალყურეობა, რომ ბლოკი 10 წუთის მერე აეცალოს. რამოდენიმე დღის შემდეგ პირუტყვი თვითონ დაარეგულირებს ბლოკის მიღების დიურ დოზას 200 გრამზე, რაც გამოიხატება მისი

მეთვალყურეობის აუცილებლობას. თუმცა ამავდროულად შეიძლება ზოგიერთმა არ დაინყოს მაშინვე ლოკვა. ამიტომ, უნდა მოხდეს მათი ნახალისება ბლოკის ზედაპირზე მათთვის ნაცნობი ქატოს ან მარილის მოპნევით, მიუხედავად იმისა, რომ ბლოკს შემადგენლობაში უკვე



აქვს მარილი, მელასა, შარდოვანა და საქონლისათვის მიმზიდველი ყველა ინგრედიენტი.

შარდოვანა საკვები ნივთიერებაა, რომლის ჭარბი რაოდენობით მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს პირუტყვის მონამვლა. სალოკ ბლოკში შარდოვანა დაბალი რაოდენობით არის წარმოდგენილი, თუმცა თუ საქონელი ბლოკს მხოლოდ ზედაპირიდან ალოკავს და მას ჩაღრმავებულ ჯამისებურ ფორმას მისცემს, შესაძლებელია წვიმიან ამინდში წვიმის წყალი დაგროვდეს და გაზავდეს შარდოვანაში. ამიტომ სალოკი ბლოკი მოთავსებული უნდა იქნას მშრალ ადგილას, მიუხედავად იმისა, რომ ასეთ შემთხვევაშიც შარდოვანა ტოქსიკურ დონეზე დაბალია.

ბლოკის ყველა სხვა ინგრედიენტი აბსოლუტურად უსაფრთხოა.

ლოკი-ბლოკი ქიმიურად ინერტულია. იგი აუცილებლად გაძლებს რამოდენიმე წელს, თუ დასაწყობებული იქნება მშრალ ადგილას, კლიმატური პირობების ზეგავლენის გარეშე. თუ ბლოკის ნახევარი იქნება მხოლოდ მოხმარებული

გაზაფხულის დადგომისას, როდესაც ბალახი ამოდის საძოვრებზე, ბლოკის დარჩენილი ნაწილი შესაძლებელია შენახული იქნას წლის ბოლოსათვის.

ლოკი-ბლოკი სასარგებლოა ნებისმიერი მცობნავი პირუტყვისთვის, რომელიც საკვებად იღებს საშუალო ან დაბალი ხარისხის ბალახს, სილოსს, ნამჯას და თივას. ლოკი ბლოკი არ შეიძლება მიეცეს ცხენებს.

კალციუმის საკვებ-მწარმოებელი ნისქვილში „კალციუმის“ სასაქონლო ნიშნით მზადდება აგრეთვე სპეციალური ბლოკები, რომელთა დასახელებაც არის „მარგებელი“. იგი მსგავსია „ლოკი-ბლოკისა“, თუმცა დამატებით შეიცავს ანტიჰელმინტიურ ნივთიერებას ნანლაგური ჭიების კონტროლის მიზნით. რეკომენდებულია, რომ „მარგებელი“ გამოყენებული იქნას დახბობიანებიდან 5 კვირის შემდეგ. ხბოები უფრო ადვილად ავადდებიან ჭიებით მოზრდილ პირუტყვთან შედარებით. ერთი კვირის განმავლობაში ბლოკი „მარგებლის“ ლოკვა მთლიანად განმენდს პირუტყვს ნანლაგური ჭიებისაგან, თუმცა ბლოკის გამოყენება უნდა გაგრძელდეს კიდევ ერთი კვირა, რომ ისინი დაცული იქნან ხელმეორე დაინფიცირებისაგან, განსაკუთრებით ის ფურები და ხბოები, რომელნიც ნახირში დადიან.

პირუტყვი აუცილებლად შეიყვარებს ლოკი-ბლოკს!!!

## „კონკპერი“

### ყველაზე ეფექტურად ებრძვის შვრი უკას

შეიძინეთ „აგროქიზიკი“-ს მაღაზიაში, რუსთაველის ქ. 24, (საკოლმეურნეო ბაზართან), ფერმერთა მომსახურების ცენტრში

## 1 ლიტრის ფასი - 79 ლარი!!!

შეიძინეთ „აგროქიზიკი“-ს თვნიანი უპროცენტო განვადებით!!!

## აგროქიზიკი

### AGROQIZIKI

თქვენი წარმატება, ჩვენთან პარტნიორობით მიიღწევა!

პირველად დედოფლისწყაროში! მხოლოდ აგროქიზიკი გთავაზობთ უნიკალურ პროდუქტს - სიახლეს ქართულ ბაზარზე! თქვენ გეპყვებათ შესაძლებლობა შეიძინოთ უმაღლესი ხარისხის პროდუქტს სავაჭრო პარტნიორთან

1299 ლარად

ყველა ეს პროდუქტი შეიძინეთ სასოფლო-სამეურნეო ბარათით

სასუქები, გვარჯილა, ჰერბიციდები, პესტიციდები, სასოფლო სამეურნეო ტექნიკა, მოტორიანი ხერხები, ცელები, შესასხურებლები, ვეტერინარული პრეპარატები და სხვა

## შეიძინეთ

„აგროქიზიკი“-ს მაღაზიაში, რუსთაველის ქ. 24, (საკოლმეურნეო ბაზართან), ფერმერთა მომსახურების ცენტრში

სამართმელს მთავრობის საგაზაფხულო პროგრამა

### სასოფლო-სამეურნეო ბარათი

საქართველოს წიაღიერების გაფრთხილებით, შეიძლება ფარგონი საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში, გლეხები და ფერმერები, რომელთაც საკუთარებაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში გააჩნიათ 5 ჰექტრის წიაღიერების სასოფლო-სამეურნეო

## აგროქიზიკი

### AGROQIZIKI

თქვენი წარმატება, ჩვენთან პარტნიორობით მიიღწევა! პირველად დედოფლისწყაროში! მხოლოდ აგროქიზიკი გთავაზობთ

შეიძინეთ ჰერბიციდები და გენსის წამლები შპს აგროქიზიკის მაღაზიაში

## ს თვნიანი უპროცენტო განვადებით,

მხოლოდ პირადოხის მოწოდებით.

შეძენილი საქონლის მაქსიმალური თანხა შედგენს 5000 ლარს

# პროექტმა გავშვებს ბევრი რამ შესძინა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლაში ჩატარდა პროექტ „დედოფლისწყაროს“ პრეზენტაცია. პროექტგაკვეთილზე მუშაობდნენ სკოლის X კლასის მოსწავლეები (ხელმძღვანელი რუსუდან გონაშვილი).



პროექტზე დაფუძნებული სწავლება კონკრეტული პრობლემის გადაჭრის ან ინიციატივის განხორციელებისკენ მიმართული მრავალფეროვანი საშუალებაა, რომლის დროსაც ვითარდება კვლევითი, შემოქმედებითი, თანამშრომლობისა და საკომუნიკაციო უნარები.

პროექტით სწავლება აქტიური და მიზანმიმართული სწავლის საშუალებას იძლევა. პროექტგაკვეთილი ხელს უწყობს მონაწილეებში არსებულ ცოდნასა და გამოცდილებაზე ახლის დაშენებას.

დღეს განათლების სისტემაში უამრავი ცვლილება ხორციელდება, შემოდის სიახლეები, იცვლება სტანდარტი, მისაღწევი შედეგები, ამიტომ შედეგობრივ მუდმივი სიახლეების ძიებაშია, რათა ფეხი აუწყოს ამ ნოვაციებს. ამის დასტურია ამ პროექტზე მუშაობაც, რომელზეც ბავშვები 2 თვის განმავლობაში მუშაობდნენ. მოაგროვეს უამრავი მასალა,

დათვალიერეს მუზეუმები, ღირსშესანიშნავი ადგილები, მოიძიეს რაიონთან დაკავშირებული თქმულებები, ლეგენდები, შექმნეს ბლოგი: [www.dedoflistskaro.blogspot.com](http://www.dedoflistskaro.blogspot.com) რომელზეც განათავსეს მოძიებული მასალა. დაინტერესებულ პირებს ამ ბლოგის საშუალებით შეუძლიათ ნახონ მოსწავლეთა თვლით დანახული დედოფლისწყარო. წიგნის სახით აკინძული მასალა საჩუქრად გადასცეს დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმს.

პროექტის ხელმძღვანელმა, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა რუსუდან გონაშვილმა, პრეზენტაციისას განმარტა ამ პროექტის მიზნები: „მოსწავლეები მუდმივად სვამენ შეკითხვებს: რატომ გვასწავლით ამა თუ იმ საკითხს? რაში გამოამადგება ეს ცოდნა? ამ კითხვებზე დამაჯერებელი პასუხის გაცემაში სასწავლო პროექტში მათი ჩართვა დამენდარა. როდესაც ამ პროექტზე მუშაობა შევთავაზებ მოსწავლეებს, ჩემი მიზანი იყო, მათთვის განმევიტარებინა გაკვეთილზე მიღებული ცოდნისა და გამოცდილების რეალურ ცხოვრებაში გამოყენების უნარ-ჩვევები. პროექტზე მუშაობის დაწყებამ ნათელიყო, რომ

ჩემსა და მოსწავლეების წინაშე სრულიად ახალი ამოცანები დადგა, რომელიც არსებითად განსხვავდებოდა ტრადიციული გაკვეთილისგან, რადგან პროექტით სწავლება გულისხმობს სკოლისგარეშე დანებებულების ჩართვას სასწავლო პროცესში. პროექტგაკვეთილმა მომცა შესაძლებლობა, როგორც პარტნიორს, სრულიად ნარმოქმინა ჩემი აღმზრდელითი და პროფესიული კომპეტენცია. ამ პროექტის მიმდინარეობისას მხოლოდ კონსულტანტის როლს ვასრულებდი, ვხელმძღვანელობდი საშუალებებს - ძიებისა და კვლევის დროს მოსწავლეებს მიმართულებას ვაძლევდი. ეს პროექტი დისციპლინათაშორისი გამოცდილების გამოქვეყნებას ემსახურება. მოსწავლეებმა პროექტგაკვეთილი გაიღრმავეს ცოდნა ქართულ ენაში, ისტორიაში, ბიოლოგიაში, გეოგრაფიაში და ხელოვნებაში. გამოუმუშავდათ უნარ-ჩვევები საინფორმაციო ტექნოლოგიებში, საპროექტო თემა სცილდება სასწავლო პროგრამას. პროექტის თემის არჩევა განპირობებული იყო მოსწავლეთა ინტერესით. ჩვენი თვითმიზანი არ ყოფილა დანერგვითი და ამომწურავი ინფორმაციის შეგროვება დედოფლისწყაროს შესახებ. დასახულ მიზანს კი, რომლებსაც ბავშვები გაკვეთილზე იღებენ, პრაქტიკულად გამოყენეს და განიმტკიცეს.“

## ზონალური პირველობა

25-26 მარტს, ქალაქ საგარეჯოში, ჩატარდა საქართველოს პირადი ზონალური პირველობა „ქართულ ჭიდაობაში“. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტსმენებმა მოიპოვეს შემდეგი საპრიზო ადგილები:

- მეორე ადგილზე გავიდა ბიორბი ხუციშვილი 55 კგ წონით კატეგორიაში;
- მესამე ადგილზე - ბიორბი ნიკაშვილი 55 კგ წონით კატეგორიაში;
- პირველი ადგილი წილად ხვდა ბაჩო შიპაძემ 65 კგ წონით კატეგორიაში;
- მესამე ადგილი დაიკავა ბიორბი ზაქარიაშვილი 70კგ წონით კატეგორიაში;
- ხოლო მეორე ადგილი - ბაძა ბორჯაშვილმა 50კგ წონით კატეგორიაში.

27-28 მარტს, ქალაქ თბილისში, ჩატარდა საქართველოს პირველობა „თავისუფალ სტილით ჭიდაობაში“. როგორც გაზეთ „შირაქს“ კულტურისა და სპორტის ცენტრიდან აცნობეს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტსმენებმა დაიკავეს შემდეგი საპრიზო ადგილები: მეორე ადგილზე 54კგ წონით კატეგორიაში გავიდა ფარაჟ მონაშვილი, ხოლო მესამე ადგილზე 55კგ წონით კატეგორიაში - ირაკლი ბურღული.

4 აპრილს, ქალაქ გურჯაანში, ჩატარდა კახეთის რეგიონალური პირველობის სარეიტინგო ტურნირი ჭიდაობა - ძიუდოში. ასპარეზობა გაიმართა 1998-99 წლებში დაბადებულ ჭაბუკებს შორის. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტსმენებმა დაიკავეს შემდეგი საპრიზო ადგილები:

- პირველი ადგილი 46 კგ წონით კატეგორიაში დაიკავა ლუკა ბაძაშვილმა;
- მესამე ადგილი 46კგ წონით კატეგორიაში - ნიკა კობახიძემ;
- მესამე ადგილი 50კგ წონით კატეგორიაში წილად ხვდა ნიკა ზვიდაძემ;
- ხოლო მესამე ადგილი 60 კგ წონით კატეგორიაში - ნიკა ბურღულს.

## მეორე ადგილი ჩოგბურთში

8-11 აპრილს ქალაქ რუსთავეში ჩატარდა ტურნირი რუსთავეის თასის გათამაშებაზე ჩოგბურთში. ასპარეზობა მოსწავლეთა შორის სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში გაიმართა.

როგორც დედოფლისწყაროს კულტურისა და სპორტის ცენტრიდან „შირაქს“-ს აცნობეს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეებმა, რომელთაც ვაჟა ანდრიაშვილი წვრთნის, დაიკავეს შემდეგი საპრიზო ადგილები:

- 12-დან-14 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა ლუკა ძიხაშვილმა.
- ხოლო, 14-დან-16 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში მეორე ადგილი — ბიორბი ბაჯაშვილმა.

## რაგბში საქართველოს ჩემპიონატს დედოფლისწყარომ უმასპინძლა



21 მარტს ქალაქ დედოფლისწყაროს ცენტრალურ სტადიონზე ჩატარდა რაგბში საქართველოს ჩემპიონატი, ჭაბუკთა შორის.

ერთმანეთს დედოფლისწყაროს მორაგბეთა გუნდი „მიმინო“ (მწვრთნელი: იოსებ შილაშვილი) და თბილისის „ლოკომოტივი“ შეხვდნენ.

როგორც გაზეთ „შირაქს“ დედოფლისწყაროს კულტურისა და სპორტის ცენტრიდან აცნობეს, დედოფლისწყაროს გუნდი მცირე სხვაობით დამარცხდა.

მატჩის მთავარი მსაჯი გიორგი ტრაპაიძე გახლდათ. საბოლოო ჯამში, შეჯიბრი ანგარიშით 22:20-ით დასრულდა. ჩემპიონატი თბილისის „ლოკომოტივმა“ მოიგო.

## ხელჩართული ბრძოლები

ხელჩართული ბრძოლების საერთაშორისო ფედერაციამ 30-31 მარტს ქალაქ თბილისში ჩატარა ხელჩართული ბრძოლები რიგით მეორე ევრაზიის თასზე. მონაწილეობდნენ: საქართველოს, აზერბაიჯანის, სასომხეთის, დაღესტნის, ირანის, თურქეთის და უკრაინის სპორტული კლუბები. სულ 230-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა. მათ შორის ზემო მანჩანის სპორტული კლუბ „ზაქების“ ცამეტი სპორტსმენი. ცამეტი სპორტსმენიდან გუნდი ათი მედლით დაბრუნდა: ხუთი ოქრო, სამი ვერცხლი და ორი ბრინჯაო. გიორგი ნატროშვილმა ორ წონით კატეგორიაში მიიღო მონაწილეობა და ორივეში ჩემპიონი


გახდა. ერთი ტატიამიდან მეორეზე შეუსვენებლად გადადიოდა და მიუხედავად ამხელა დატვირთვისა, ამკარა უპირატესობით გამარჯვებული გამოდიოდა. ისე რომ, გიორგის ერთ დღეს ორი ოქროს მედალი და ევრაზიის თასი გადასცეს. ასევე პირველი ადგილი დაიკავეს სანდრო ნატროშვილმა, გელა ჩაიძემ და ნოდარ ვარდიაშვილმა. მეორე ადგილებზე გავიდნენ გიგა ნატროშვილი, ნიკა ქვიციანილი და ბორის კუსრაშვილი. მესამე ადგილები წილად ხვდათ გიორგი რევაზიშვილს და ალექო კობახიშვილს.

## მონატრება

### თაგაზ (ბათია) ტუსაშვილი

დაბადების დღეს გილოცავთ ჩვენო მოუშუშებელი ტკივილი, ჩვენო ბათია! მეშვიდე წელი დაიწყო, რაც ცათა სასუფეველში დაიდო ბინა. 18 აპრილი შენი დაბადების დღე, მწუხარების დღე იქცა ჩვენთვის. 18 აპრილს ხომ შენი შვილის- ილიკოს დაბადების დღეც არის. რა ბედნიერები ვიქნებოდით, შენ რომ ჩვენს გვერდით იყო. დღე არ გავა, შენმა შვილიშვილმა შენს სურათს რომ არ შეხედოს და პაპას ძახილით არ მოეფეროს შენს სევდიან თვალებს. ყოველი დღე შენი მონატრებით იწყება და მთავრდება ჩვენს სახლში. დაბადების დღეს გილოცავს ყველა შენიანი, ნათესავი და მეგობარი. რა დაუნდობელი ყოფილა ეს ცხოვრება, წუთუ არ შეიძლებოდა, ეს თარიღი შენს ოჯახში აგვლინებოდა. შენს გამწარებულ მშობლებს სიცოცხლე შენით ჰყვარებიათ. უსამწყოლო მონატრება ხარ შენი მშობლების, მეუღლის, შვილის, რძლის და ყველა ახლობლისთვის. უანგარო მადლითა და პატიოსნებით შემკული წარსული უფლის წინაშე. ღმერთს რჩეულები უყვარს და შენც ღვთის რჩეული აღმოჩნდი. შენი საყვარელი ნონა აქედან ილოცებს, რადგან ცაში ანგელოზად

ევლები, საიდანაც მარადიულად დალოცავ და მფარველობას გაუწევ პატარა სალომეს. 18 აპრილს დიდი ტკივილით, ცრემლითა და ანთებული სანთლებით მოვალთ შენს საფლავთან და მოგილოცავთ დაბადების დღეს, შენში ხომ ერთად იყო სულიერი და ფიზიკური სილამაზე. შენს ოჯახში დღედაღამ ჩაუქრობელი სანთელია, რომელიც შენ გეკუთვნის და გინათებს გზას მარადისობისაკენ. მუდამ გვეყვარები და შენს სხივსას სამარადისოდ შევინახავთ. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული და ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს ცათა სასუფეველი, ჩვენო საყვარელო ბათია.




შენი ოჯახი

## მონატრება

### ლარბი ბუნტური

დრო მკურნალიაო, ამბობენ, მაგრამ ამ ტკივილს, რომელსაც შენი სახელი თან ახლავს, დრო ვერ განკურნავს. დაბადების 63 წლის შესრულებას გილოცავთ ჩვენო უსაყვარლესო, ჩვენო საფიცარო ძმაო, ლარბი. აი, უკვე ერთი წელი გადის შენს გარეშე. 15 აპრილი შენი დაბადების დღეა, ჩვენო ძმაო. შორს, ბელორუსიაში შენს საფლავთან შეიკრიბებთან შენი ახლობლები, შენი შვილი თემური, შვილიშვილები არსენიკო და პატარა მათე, ისინი თავისი პატარა ხელებით აგინებენ სანთელს, მოგიგონებენ, მაგრამ შენი დაძმა იქ ვერ ვიქნებით. სამაგიეროდ დედის საფლავზე გავალთ, აქ მოგიგონებთ მარადისობაში გადასახლებულ ძმაო, ვილოცებთ შენი ტანჯული სულისთვის. დაე, ჩვენმა ლოცვამ, ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა სასუფეველში. ძალიან გვიყვარხარ და ტკივილამდე გვენატრები.



შენი და ლალი, ძმა ოთარი, ძმისშვილი ბიორბი, რძალი ციური ბუნტურები.

დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის და ხალხთა მეგობრობის მუზეუმების თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ლია ბაიდოშვილს მამის გურამ ბაილოშვილის გარდაცვალების გამო.

მარინა და გურამ მოლაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ ნანა ნანობაშვილს მეუღლის, ლიანა და ქეთინო ბაილოშვილებს მამის გურამ ბაილოშვილის გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს რაიონული ბიბლიოთეკა თანაგრძნობას უცხადებს ნათია გონაშვილს მამის იოსებ გონაშვილის გარდაცვალების გამო.

# მეუფე ბელქისადაკი ხარების დღესასწაულზე ჰერეთს ეწვია



ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის წარმომადგენლები 7 აპრილს ისტორიულ ჰერეთში იმყოფებოდნენ.

ხარების სადღესასწაულო წიგნა, ყოვლადუსამღვდელოესმა ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა, მეუფე

მელქისედეკ ხაჩიძემ კახის წმინდა გიორგის სახელობის მონასტერში აღავლინა. სპეციალურად ამ დღისთვის ადგილობრივი მრევლი საგანგებოდ შეიკრიბა. სადღესასწაულო წიგნის დასრულების შემდეგ ლიტანიობა ჩატარდა. როგორც ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქია იუწყება, ქუთაისიდან კახში სტუმრად იმყოფებოდა დეკანოზი იოსები. დღესასწაული მორწმუნეთათვის თევზით ხსნილია. ხარება ქრისტიანულ ეკლესიაში ერთ-ერთი უძრავი საუფლო დღესასწაულია. აღინიშნება 25 მარტს ძველი სტილით (7 აპრილს ახალი სტილით). სახარების მიხედვით, გაბრიელ მთავარანგელოზს უხარებია მარიამ ღვთისმშობლისათვის,



რომ მისგან იშვებოდა იესო ქრისტე, ძე ღვთისა. ხარება მიჩნეულია კაცობრიობის ხსნის დასაბამად, საუკუნე-

ბით დაფარული ღვთის საიდუმლოს გამოცხადებად. ილია მარტყოფლიშვილი

## ქურციკი ანუ ჯეირანი

საქართველოში ქურციკის შესახებ ალბათ ბევრს სმენია, მაგრამ ძალიან მცირეა იმ ადამიანების რაოდენობა, რომელთაც ეს მოხდენილი არსება ველურ ბუნებაში ყავს ნახაზი; ისიც დაახლოებით ნახევარი საუკუნის წინ და თანაც სულ რამდენიმე ინდივიდი. ბევრმა შეიძლება იფიქროს, რომ ამის მიზეზი მისი ფრთხილი ცხოვრების წესია, სინამდვილეში კი ეს არის ადამიანის გაუფრთხილებელი მოქმედების შედეგი, რის გამოც, ჩვენი ქვეყნის ერთ დროს მრავალრიცხოვანი პოპულაციიდან დღეს ერთი ინდივიდიც კი არ შემოგვრჩა; ნახევარი საუკუნე საკმაოდ

დიდი დროა და ქურციკი თანდათან დაიწყებას ეძლევა; ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენენ ადამიანები, რომლებსაც ჯეირანი ფრინველი ჰგონიათ, რადგან ეს სიტყვა გაგონილი აქვთ მხოლოდ ერთ-ერთი სიმღერის ტექსტიდან - „გაშაღე ფრთები ჯეირანო“. ამ სტატიის მიზანი საზოგადოებისთვის ქურციკის უკეთ გაგნობაა; ჩვენ შევეცდებით მოკლედ მიმოვიხილოთ ქურციკის საქართველოში არსებობის ისტორია და მომავლის პერსპექტივები.

ქურციკი ერთადერთი ანტილოპაა, რომელიც საქართველოში ბინადრობდა. ის მომცროს ზომის ცხოველია, რომლის სიმაღლე ნიდაში 60-80 სმ, ხოლო წონა 18-33 კგ-ია; მათ შეფერილობაში სქესობრივი განსხვავება არ არის გამოხატული. ზურგი ჩაღისფერია, მუცელი და ყელი კი მოთეთრო; მამრებს ლამაზი, ნატიფი მოყვანილობის რქები ამშვენებთ, რასაც მდედრები მოკლებულნი არიან, თუმცა

ზოგჯერ მდედრებშიც გვხვდება პატარა ზომის რქები. მდედრები და მამრები სქესობრივ სიმნიშვნელს 9 და 18 თვის ასაკში აღწევენ. მაკობის პერიოდში 5-6 თვეს გრძელდება, რომლის შემდეგაც ბუნებას ევლინებიან ულამაზესი ლიკლიკები - უმეტესად 1-2 ლიკლიკა, იშვიათად კი სამი და ოთხიც. ზაფხულში იხინი ოვანბურ ვაგუფებზე ერთიანდებიან, ხოლო ზამთარში ქმნიან ფარებს, რომელშიც შესაძლოა ასეულობით ინდივიდმა მოიყაროს თავი. საქართველოს ტერიტორიაზე ასეთი ფარების არსებობა დღეს უკვე ისტორიის კუთვნილებაა; არადა, პალეონტოლოგიური მასალა ცხადყოფს, რომ ეს ცხოველი ჯერ კიდევ პლეისტოცენის ხანაში, 800 000 წლის წინ, ბინადრობდა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე. გასული საუკუნის დასაწყისის ჩანაწერების თანახმად, ჯეირანი საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო და იგი მთელს ივრის ზეგანზე იყო გავრცელებული. ამის შემდეგ რაოდენობამ მკვეთრად იკლო და სულ რაღაც ხუთი ათეული წლის მანძილზე თითქმის ნულამდე დაეცა. საინტერესოა, რა მოხდა ამ პერიოდში ისეთი, რამაც ასე უცებ დაასრულა ამ არსების ასეულ ათას წლიანი ისტორია? არსებობს ვერსია, რომ ქურციკის გადაშენება მის საბინადრო გარემოში ცვრის გამოჩენამ განაპირობა, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ივრის ზეგანი საუკუნეების მანძილზე გამოიყენებოდა ზამთრის საძოვრებად, მაგრამ ამას ქურციკის პოპულაციისათვის სერიოზული საფრთხე არ შეუქმნია, რაც, უმეტესწილად, ის ცოდნის დამსახურებაა, რომელიც ჩვენს წინაპრებს ჰქონდათ ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენების სფეროში. საძოვრების მონაცვლეობისა და ცვრის რაოდენობის კონტროლის საშუალებებით ისინი ახერხებდნენ როგორც საძოვრების სა-

რისხის შენარჩუნებას, ისე გარეულ ცხოველებთან წარმატებით თანაცხოვრებას. მაგრამ ამის შემდეგ საქმეში ჩართო საბჭოთა მურწუნობა, რომლის მთავარი მიზანი იყო უკლებლივ ყველა რესურსის ათვისება, რასაც თან ახლდა გარემოს დაცვითი ღონისძიებების უგულებელყოფა. ქურციკის გავრცელების არეალში აშენდა ახალი ქალაქები, წყალსაცავები, მოიხდა ბუნებრივი სტეპები, გამოავლდა პირუტყვი, რამაც გამოიწვია საძოვრებზე არსებული ბიომასის შემცირება. ამ პირობებში ქურციკს აღარ ჰქონდა თავის შესაფარი, შემცირდა მისი საბინადრო არეალი და ბოლოს ამას დამატდა ბრაკონიერობა, რამაც ამ უმშვენიერესი ცხოველის გაქრობა გამოიწვია. ასე, თითქოს განზრახ, ამოვიხიეთ ფურცელი ქურციკის შესახებ საქართველოს „ბუნების კარიდან“, თუმცა, ჩვენდა საბედნიეროდ, ეს ფურცელი დაკარგული ჯერ კიდევ არ არის. ქურციკები ისევ დანაწარმდებიან აზერბაიჯანის, არაბეთის ნახევარკუნძულის და შუა აზიის სტეპებსა თუ ნახევარუნდაბნობებში; ასე რომ, ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს მანძი, რომ ჩვენი სტეპები გამოავლინოს ცხოვრობის ტერიტორიები; ამისთვის კი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ნებაა საჭირო, რაც გარკვეულწილად არსებობს - განაგეგულებათ ადამიანი, რომელიც არ ისურვებდა, რომ ველზე გასულს ქურციკების უსწრაფესი და მოხდენილი სტრევა ენახა? დღეს ქურციკების აღდგენისათვის საუკეთესო პირობები ჩვენს მუნიციპალიტეტშია, ამიტომ სწორედ ჩვენ გვეკისრება უდიდესი პასუხისმგებლობა, რომ ხელი შევეწყუთ ამ ეროვნული მნიშვნელობის საქმეს! ქურციკების აღდგენის იმედით, თეიმურაზ აპიაშვილი, ადამიანისა და მტაცებლის კონფლიქტზე რეაგირების ჯგუფი



### უ ლ ო ც ა ვ ე ნ !

**დათო ბოკლიაშვილი!**  
ჩვენს უახლოეს მეგობარს, შრომისმოყვარეს, დიდი ოჯახის ჭეშმარიტ თავკაცს, ქართული ტრადიციების უბადლო გამგრძელებელს, სიკეთისა და სიყვარულის მიესველს, გამორჩეულ თამადას, ჩვენს დათოს ვულოცავთ დაბადების დღეს - 9 აპრილს!  
საუკეთესო სურვილებით და უღრმესი პატივისცემით,  
ნუგზარ გონაშვილი, მირაბ იაპონიშვილი, თამაზ ალუღიშვილი, ანზორ სპინაშვილი.

**მაია ყოჩიაშვილი!**  
ჩვენო ძვირფასო მაია, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ კარგად ყოფნას შენს ოჯახთან და საყვარელ ხალხთან ერთად. ასევე გილოცავთ სიყვარულის დღეს. სულ წინსვლა გვესმოდეს თქვენი.  
სიყვარულით, სოფელ სამრეკლოს ბაგა-ბაღის დირექტორი ბაბა ზურაბიშვილი და თანამშრომლები.

**ბაბუა ბიკორაშვილი!**  
საყვარელო პაპიკო, გილოცავთ დაბადების საიუბილეო 65 წლისთავს. ჩვენს საიმედოდ დიდხანს იცოცხლე, იყავ ჯანმრთელი და ბედნიერი ჩვენთან ერთად. შენ ყველაზე მაგარი და კარგი პაპა ხარ მსოფლიოში, რადგან ყველა სურვილს გვისრულებ. ძალიან გვიყვარხარ და გეფერებით. ხარების დღეს დაბადებულს უფალი ფგარავდეს.  
შენი შვილიშვილები: მარიამ და ნინა სამსახვილიანი, ანდრია ჯინჭარაძე.

**მადლიერება**  
სოფელ გამარჯვების პროფესორ ა. პოპიაშვილის სახელობის საჯარო სკოლის X, XI, XII კლასის მოსწავლეებში, სპორტის მასწავლებლები შამილ ნიკლაური და ნოდარ სულაშვილი მადლობას ვუცხადებთ გამარჯვების ტერიტორიული ორგანოს წმენდებულს მიწაზე მონაწილეობისათვის, ფრენბურთის და კალათბურთის ბურთები, რომელიც მათ დიდი ხანია, არ ჰქონიათ. უმრავლეს ჩვენს სოფელს გულსმხიერი და ქველმოქმედი ადამიანები.  
პატივისცემით, ძსანი აზურაშვილი, XII კლასის ხელმძღვანელი.

**მსურველთა საყურადღებოდ!**  
გაზეთი „შირაქი“ იწყებს „სსრ365ს წიგნი“-ს გამოცემას, სადაც შეგიძლიათ თქვენი გარდაცვლილი წევრისა თუ ოჯახის ახლობლის მოხსენიება. „სსოვის წიგნი“ გარდაცვლილის ფოტოსურათისა და შესაბამის ტექსტის განთავსების მსურველებმა გთხოვთ მოაკითხოთ გაზეთი „შირაქის“ რედაქციას. ფასი ხელმისაწვდომია.  
სსოვის წიგნი

### ა მ ი ნ დ ი

შაბათი 13. 04 დღე ღამე 12° 6°	კვირა 14. 04 დღე ღამე 13° 7°	ორშაბათი 15. 04 დღე ღამე 11° 10°	სამშაბათი 16. 04 დღე ღამე 9° 8°	ოთხშაბათი 17. 04 დღე ღამე 3° 2°	ხუთშაბათი 18. 04 დღე ღამე 4° 3°	პარასკევი 19. 04 დღე ღამე 8° 7°
-------------------------------------	------------------------------------	--	---------------------------------------	---------------------------------------	---------------------------------------	---------------------------------------

გამომცემელი შპს „შირაქი“ დირექტორი ინგა შიოლაშვილი  
რედაქტორი ნაირა ბორაშვილი-პოპიაშვილი  
წერილი მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებს პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მებრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ყურანლისტები); მინაილ ბლაზიშვილი (სტილისტ-მეწევერი); ნათელა მოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჯანაშვილი (თვის-მეწევერი); მზია ძანაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).  
გაზეთი აიწყობა და დაკაბდობა „შირაქის“ კომპიუტერულ პაზაზე.  
ყოველკვირეული გამოცემა იხვედება შ. პ. ს. „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფრონისის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 551 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.